საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N01

ქ. ბათუმი **23 აპრილი,2018 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კვლევების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,ბსუ-ს ეკონომიკური კვლევების ცენტრის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის N116 დადგენილების, ეკონომიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორის პაატა ჩაგანავას სამსახურებრივი ბარათისა (07.11.2017, №1368270) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს საუნივერსიტეტო დამხმარე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ,,ბსუ-ს ეკონომიკური კვლევების ცენტრი“-ს თანდართული დებულება **(დანართი 1).**

2. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და ბსუ-ს ეკონომიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელს.

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (სტრუქტურული ერთეულების და ნორმატიული აქტების ველში).

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დ.ბარათაშვილი**

დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2018 წლის 23 აპრილის N03გადაწყვეტილებით

დანართი 1

ბსუ-ს ეკონომიკური კვლევების ცენტრის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯაროსამართლისიურიდიული პირი -ბათუმის შოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“) დამხმარე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის -ეკონომიკური კვლევებისცენტრის (შემდეგში ,,ცენტრი“) დებულება შემუშავებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის N116 დადგენილების საფუძველზე და განსაზღვრავს ცენტრის მიზნებს, ამოცანებს დასაქმიანობის მიმართულებებს და ადგენს ფუნქციონირების რეგულაციებს.
2. ცენტრითავისსაქმიანობასწარმართავსსაქართველოსკანონმდებლობის, ბსუ-სწესდების, წინამდებარედებულებისადაბსუ-ს სხვა სამართლებრივიაქტებისსაფუძველზე.

მუხლი2. ცენტრისმიზნები, ამოცანებიდა საქმიანობისძირითადიმიმართულებები

1. **ცენტრის მიზანია:**
   ა) ეკონომიკური კვლევების განვითარება;
   ბ) სტუდენტების, მკვლევარების, ბიზნესის, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების ორგანიზება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ბიზნეს კვლევების განსახორციელებლად;
   გ) ცენტრში ჩატარებული კვლევის შედეგების პოპულარიზაცია, მეცნიერების, ბიზნესისა და პოლიტიკის დაახლოების, საჯარო და ბიზნეს-გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის მიზნით;
   დ) ცენტრში ჩატარებული მეცნიერულიკვლევებისდახმარებით ბიზნეს და საჯარო გადაწყვეტილებების ეფექტიანობის ამაღლება;
2. **ცენტრის ამოცანებია:**
   ა) ცენტრში ჩატარებული კვლევის შედეგების პოპულარიზაცია, მეცნიერების, ბიზნესისა და პოლიტიკის დაახლოების, საჯარო და ბიზნეს-გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის მიზნით;
   ბ) ცენტრში ჩატარებული მეცნიერულიკვლევებისდახმარებით ბიზნეს და საჯარო გადაწყვეტილებების ეფექტიანობის ამაღლება;

3. ცენტრის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად **ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:**

ა) ეკონომიკური და ბიზნეს კვლევების შესრულება საჯარო, ბიზნეს, არასამთავრობო და აკადემიური სექტორისთვის;

ბ) კვლევითი პროექტების ინიცირება, ხელშეწყობა და განხორციელებაბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტების ფართო ჩართულობით;

გ) პრაქტიკასა და კვლევაზე ორიენტირებული სემინარების, ტრენინგების, კონფერენციისა და სხვადასხვა ღონისძიებების გამართვის ორგანიზება სიცოცხლის მანძილზე სწავლის მსურველთათვის;

დ) მეცნიერების, სტუდენტებისა და პრაქტიკოსებისათვის საგანმანათლებლო და პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსების/პროგრამების შემუშავება და გადამზადება;

ე) ყოველწლიურისაერთაშორისოსამეცნიეროკონფერენციისჩატარება, საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის გამოშვება, ყოველკვირეული ინტერნეტ-რევიუს წარმოება, საკუთარი კვლევის შედეგების გავრცელება.

მუხლი 3. ცენტრის მართვადა მკლევარები

1. ცენტრისსაქმიანობას წარმართავს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დანიშნული ცენტრის დირექტორი (შემდგომში „დირექტორი“), რომელიც ანგარიშვალდებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წინაშე.
2. ცენტრის კვლევები ხორციელდება ცენტრის მკვლევარების მიერ, რომელიც შეიძლება იყოს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, მაგისტრანტები, დოქტორანტები და ბსუ-ს კურსდამთავრებული ახალგაზრდა მკვლევარები (მათ, ვისაც დოქტორის ხარისხის მიენიჭა ბოლო 7 წლის ფარგლებში).
3. ცენტრის მკვლევარების შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, ცენტრის დირექტორის წარდგინებით.
4. ცენტრის სამუშაო გეგმას ცენტრის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
5. ცენტრის აკადემიური/სამეცნიერო მუშაობის ანგარიში 6 თვეში ერთხელ წარედგინება ბსუ-ს რექტორს, ხოლო წელიწადში ერთხელ - აკადემიურ საბჭოს.
6. ცენტრის გასული წლის მუშაობის ფინანსური ანგარიში მიმდინარე წლის პირველივე თვეში წარედგინება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მუხლი 3. ცენტრის დაფინანსება და ქონება

1. ცენტრის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) ბსუ-ს ბიუჯეტი;

ბ) დაკვეთით შესრულებული კვლევებიდან და ტრენინგებიდან/კონფერენციებიდან და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებიდან მიღებული შემოსავლები;

გ) სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული შემოსავლები;

დ) საგრანტო პროექტებით მიღებული დაფინანსება;

2. ცენტრის ხარჯთაღრიცხვას (მათ შორის თითოეული პროექტის მიხედვით)ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან შეთანხმებით ადგენს ცენტრის დირექტორი და წარუდგენს დასამტკიცებლად ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
3. ცენტრის დირექტორის წარდგინებით და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული კვლევითი პროექტის და საგანმანათლებლო/სამეცნიერო ღონისძიების განხორციელების/ჩატარების საფასური, საიდანაც 60% მოხმარდება პროექტის განხორციელებას (მკვლევარების/მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას და სხვა), ხოლო 40% რჩება უნივერსიტეტის შემოსავლებში.
4. ცენტრის საქმიანობის ფარგლებში კვლევის/ღონისძიების ჩატარებისათვის მსურველთან (დამკვეთთან) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრება კვლევის საგანი, მომსახურების საფასური, კვლევის ჩატარების დრო და ხელშეკრულების სხვა პირობები.
5. ცენტრის მკვლევარებთან, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.